

შპს „რენოვეით“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. შემოსავალი სამშენებლო პროექტებიდან	11
6. შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯი	11
7. სხვა შემოსავალი	11
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	12
9. ფინანსური ხარჯი	12
10. ძირითადი საშუალებები	12
11. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	13
12. სასაქონლო მატერიალური მარაგები	13
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
14. ფული და ფულის ეკვივალენტები	14
15. კაპიტალი	14
16. ანარიცხი პირობითი ვალდებულებებისთვის	14
17. ვალდებულებები ლიზინგიდან	14
18. საგადასახადო ვალდებულებები	15
19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
20. პირობითი ვალდებულებები	15
21. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
22. ბალანსის შემდგომი მოვლენები	16

შპს „რენოვით“

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი სამშენებლო პროექტებიდან	5	25,064	9,754
შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები	6	(15,362)	(4,808)
საერთო მოგება		9,702	4,946
სხვა შემოსავალი	7	595	2,397
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(5,692)	(753)
საოპერაციო მოგება		4,605	6,590
ფინანსური ხარჯი	9	(494)	(261)
ზარალი მეკავშირე საწარმოდან	11	(189)	(231)
საკურსო მოგება/(ზარალი)		(3)	43
მოგება დაზღვევამდე		3,919	6,141
მოგების გადასახადი		(7)	(4)
წლის სრული შემოსავალი		3,912	6,137

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 28 თებერვალს:



ვლადიმერ გაბრიელაშვილი
დირექტორი

გ. სეფიშვილი

გვანცა სეფიშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს „რენოვით“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	1,746	2,656
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	11	4,429	4,618
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,175	7,274
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	12	473	2,207
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	10,890	1,911
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	-	152
სულ მიმდინარე აქტივები		11,363	4,270
სულ აქტივები		17,538	11,544
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	15	9,712	5,842
სულ კაპიტალი		9,712	5,842
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ანარიცხი პირობითი ვალდებულებებისთვის	16	194	124
ვალდებულებები ლიზინგიდან	17	533	1,711
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		727	1,835
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	18	991	758
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	6,108	3,109
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,099	3,867
სულ ვალდებულებები		7,826	5,702
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		17,538	11,544

შპს „რენოვით“

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2022	-	(274)	(274)
მიმდინარე წლის მოგება		6,137	6,137
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:			
დივიდენდი		(21)	(21)
31 დეკემბერი 2022	-	5,842	5,842
მიმდინარე წლის მოგება		3,912	3,912
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:			
დივიდენდი		(42)	(42)
31 დეკემბერი 2023	-	9,712	9,712

შპს „რენოვით“

სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე	3,919	6,141
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	297	580
ფინანსური ხარჯი	494	261
ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულების ცვლილების ეფექტი	-	(1,397)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული მოგება	(390)	-
ანარიცხი პირობითი ვალდებულებებისთვის ზრდა	70	124
ზარალი მეკავშირე საწარმოდან	189	231
ცვლილება გაუფასურების ანარიცხში	4,353	311
საკურსო (მოგება)/ზარალი	3	(43)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის კორექტირებამდე	8,935	6,208
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	1,734	(2,023)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(13,332)	(1,896)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	2,988	(4,584)
ცვლილებები გრძელვადიან ვალდებულებებში	546	1,711
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	233	337
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	1,104	(247)
გადახდილი მოგების გადასახადი	(7)	(4)
გადახდილი პროცენტი	(494)	(261)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	603	(512)
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(710)	(147)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობაზე	(710)	(147)
საფინანსო საქმიანობა		
დივიდენდის გადახდა	(42)	(21)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობაზე	(42)	(21)
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ეკვივალენტების	(149)	(680)
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	152	835
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(3)	(3)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	-	152

1. კორპორატიული ინფორმაცია

„რენოვეით“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2015 წლის 30 აპრილს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404492562.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გზების შეკეთება, სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოება, ტექნიკის იჯარა და მომსახურება. კომპანია არის სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ქვეკონტრაქტორი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ი.გოგებაშვილის ქ., №46 ბ, კომერციული ფართი, სადარბაზო 2, სართული 1.

კომპანიის მეწილეები: სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს ფლობდა ვლადიმერ გაბრიელაშვილი.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების კომპანიის მიერ მიღების ნაწილი. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 1 იანვარი. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ მიზნით, რომ კომპანიამ შეძლოს მსს ფასს-ის სრულად შესაბამისი ანგარიშგების მომზადება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შესაბამისად, წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს მსს ფასს-ის შესაბამის ფინანსური ანგარიშგების სრულ ნაკრებს.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ გამოიყენა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ფაქტები და გარემოებები და სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია მოამზადებს მის პირველ სრულფასოვან ფინანსურ ანგარიშგებას მსს ფასს-ის შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აქედან გამომდინარე, სანამ კომპანია მის პირველ სტანდარტის სრულად შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას, შესაძლებელია მოხდეს აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მონაცემების შესწორება, სანამ საბოლოო შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენა მოხდება კომპანიის პირველ სრულ კომპლექტში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მესამე შენიშვნაში მოცემულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოყენებულია სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის და წარმოდგენილ საანგარიშგებო პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე, მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2023 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2023	2.6894	2.9753
1 იანვარი 2023	2.7020	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს და სხვა მოკლევადიან მაღალი სიხშირის ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსურ ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები. საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრები, რომელთა გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სამ თვეზე მეტი ვადით. მსგავსი ტიპის ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტ თვეზე მეტი ვადით აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

ძირითადი საშუალებები. აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება მოიცავს მათი შექმნისთვის და

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მშენებლობისთვის გამოყენებულ მასალებს და შრომის ანაზღაურებას, იმ ძირითადი საშუალებების ცვეთას, რომელიც მონაწილეობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადებ ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
სამშენებლო ტექნიკა და ინვენტარი	5-15
ლიზინგით აღებული სამშენებლო ტექნიკა	10
სხვა	5-10

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა,

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გაუფასურება და სხვაობა ისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების

გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვება გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები, რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირი ახორციელებს შენატანს მისი დაუბეგრავი შემოსავლის 2%-ის ოდენობით. ასევე დამსაქმებელს და სახელმწიფოს დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შეაქვთ დასაქმებულის დაუბეგრავი შემოსავლის 2% თითოეულს. შედეგად, ხელფასის და მასთან გათანაბრებული სარგებლის 6% დასაქმებულის, დამსაქმებლისა და სახელმწიფოს მხრიდან ირიცხება დასაქმებულის დაგროვებით ანგარიშზე, რომელსაც მართავს საპენსიო სააგენტო. კომპანიის მიერ ანაზღაურებული საპენსიო შენატანები აღიარებულია შესაბამის სახელფასო ხარჯთან ერთად დარიცხვის პრინციპით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლების აღიარება. კომპანია ამონაგებს აღიარებს დაპირებული საქონლის/მომსახურების დამკვეთისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის/მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება და იმ შემთხვევაში როდესაც, შედეგების შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში შედეგების მეთოდის გამოყენებით.

იმ შემთხვევაში როდესაც სახელშეკრულებო თანხა წინასწარ არ არის განსაზღვრული, შემოსავალი აღიარდება დამოუკიდებელი ექსპერტის და ორივე მხარის მიერ დადასტურებული შესრულებული სამუშაოების აქტის საფუძველზე, ბოლო აქტიდან წლის ბოლომდე პერიოდში ამონაგებად აღიარდება მხოლოდ ის ნაწილი რომელიც დაკავშირებულია იმ სახელშეკრულებო დანახარჯებთან, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელია და შესაბამისი სახელშეკრულებო დანახარჯები ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გაწევა.

კონტრაქტების გადახედვა ხდება რეგულარულად და იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება წამგებიანი კონტრაქტი ზარალი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში როდესაც მოხდა მისი გამოვლენა.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან ფასდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე/მომსახურებაზე შეთანხმებული კომპენსაციის თანხას. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის ;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ფულს და ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური მიდგომა მოთხოვნებისა და ავანსებისათვის. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.
- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.
- **ანარიცხები სამშენებლო კონტრაქტების შესრულების გარანტიაზე.** სამშენებლო ხელშეკრულებების ფარგლებში კომპანიას ყოველ დასრულებულ პროექტზე წლების მიხედვით განსაზღვრული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის გარანტია სახელშეკრულებო თანხის გარკვეული პროცენტის ოდენობით. 2023 წელს კომპანიამ იანგარიშა მოსალოდნელი ზარალი, რომელიც შესაძლოა დადგეს დასრულებულ პროექტებზე ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიის გამო. გაანგარიშებისას მენეჯმენტმა იხელმძღვანელა ისტორიული მონაცემებით.

შპს „რენოვით“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან

შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022
ქვეკონტრაქტორული სამუშაოები	23,577	8,249
სამთავრობო უწყებები	1,487	1,505
სულ	25,064	9,754

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სხვადასხვა უწყებების მიერ გამოცხადებულ ინფრასტრუქტურულ ტენდერებში ქვეკონტრაქტორად მონაწილეობა.

კომპანია შემოსავალს სამშენებლო კონტრაქტებიდან აღიარებს შესრულების სტადიის მიხედვით. შემოსავალი აღიარდება დამოუკიდებელი ექსპერტის და ორივე მხარის მიერ დადასტურებული შესრულებული სამუშაოების აქტის საფუძველზე, ბოლო აქტიდან წლის ბოლომდე პერიოდში ამონაგებად აღიარდება მხოლოდ ის ნაწილი რომელიც დაკავშირებულია იმ სახელშეკრულებო დანახარჯებთან, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელია და შესაბამისი სახელშეკრულებო დანახარჯები ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გაწევა.

დეზაგრეგირებული ინფორმაცია შესრულებული სამუშაოდან მიღებულ შემოსავალზე:

	2023	2022
გზებისა და გვირაბის შეკეთება	19,981	8,182
ღია სკეიტპარკების კეთილმოწყობა	3,328	977
სტადიონების მშენებლობა	1,044	529
შენობის რემონტი და კეთილმოწყობა	711	66
სულ	25,064	9,754

6. შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯი

შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022
ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაო	(8,392)	(1,341)
გამოყენებული მასალის ხარჯი	(4,640)	(1,472)
ფიზიკური პირის მიერ გაწეული მომსახურება	(1,503)	(845)
ცვთის ხარჯი	(234)	(484)
სხვა ხარჯი	(593)	(666)
სულ	(15,362)	(4,808)

7. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული მოგება	390	-
შემოსავალი ტექნიკის იჯარიდან	198	1,000
ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულების ცვლილების ეფექტი	-	1,397
სხვა შემოსავალი	7	-
სულ	595	2,397

კომპანია ფლობს სამშენებლო ტექნიკას, როგორებიცაა ექსკავატორი, გზის დამგები, სატკეპნი მანქანა, ამწე და ა.შ, რომელიც გარდა საოპერაციო საქმიანობისა გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად.

შპს „რენოვით“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022
გაუფასურების ხარჯი	(4,353)	(311)
ჯარიმების ხარჯი*	(830)	(22)
მმართველობითი მომსახურების ხარჯი	(199)	-
შრომის ანაზღაურება	(183)	(257)
ცვეთა და ამორტიზაცია	(63)	(97)
სხვა ხარჯი	(64)	(66)
სულ	(5,692)	(753)

*ჯარიმები დაკავშირებულია სამშენებლო სამუშაოების შესრულებისას დარღვეული საკონტრაქტო პირობებთან.

9. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022
საგარანტიო მომსახურების ხარჯი	(395)	(39)
ლიზინგზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(99)	(222)
სულ	(494)	(261)

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ლიზინგით აღებული სამშენებლო ტექნიკა	სამშენებლო ტექნიკა და ინვენტარი	სხვა	სულ
1 იანვარი 2022	4,030	5,008	142	9,180
შემოსვლა	-	1,278	34	1,312
გასვლა/ჩამოწერა	-	(6,177)	(142)	(6,319)
31 დეკემბერი 2022	4,030	109	34	4,173
შემოსვლა	-	-	11	11
გასვლა/ჩამოწერა	(1,334)	-	-	(1,334)
31 დეკემბერი 2023	2,696	109	45	2,850
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვარი 2022	(1,089)	(1,510)	(39)	(2,638)
ცვეთის ხარჯი	(403)	(170)	(7)	(580)
გასვლა/ჩამოწერა	-	1,672	29	1,701
31 დეკემბერი 2022	(1,492)	(8)	(17)	(1,517)
ცვეთის ხარჯი	(273)	(20)	(4)	(297)
გასვლა/ჩამოწერა	710	-	-	710
31 დეკემბერი 2023	(1,055)	(28)	(21)	(1,104)
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2022	2,538	101	17	2,656
31 დეკემბერი 2023	1,641	81	24	1,746

10. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

შპს „რენოვით“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2023 ლიზინგით აღებული სამშენებლო ტექნიკის გასვლა დაკავშირებულია ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტით. იხილეთ 17-ე შენიშვნა.

11. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

კომპანიამ 2022 წლის 28 აპრილს შპს რერუთთან, შპს რეფორმა ქონსტრაქშენ მენეჯმენტთან და ფ/პ გიორგი ქელბაქიანთან ერთად დააარსა შპს რენტოლ (405529325) შემდეგი წილობრივი გადანაწილებით:

მეწილე კომპანიის დასახელება	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი	წილი
შპს რენოვით	405140379	35%
შპს რერუთ	404492562	15%
შპს რეფორმა ქონსტრაქშენ მენეჯმენტი	206317948	20%
გიორგი ქელბაქიანი	-	30%

2023 წელს კომპანიას არ განუხორციელებია არანაირი სახის კონტრიბუცია მეკავშირე საწარმოში. 2022 წლის 3 მაისს კომპანიამ განახორციელა 3,443 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე ძირითადი საშუალების კონტრიბუცია მეკავშირე საწარმოში. აღნიშნული ძირითადი საშუალებები შეფასებულია რეალური ღირებულებით 4,849 ლარით, სხვაობის თანხა აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად მიღებული მოგება.

კომპანია ინვესტიციას მეკავშირე საწარმოში აღრიცხავს წილობრივი მეთოდის გამოყენებით, რომლის თანახმად, მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით და შემდგომში მისი საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აისახოს შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში.

2023 წლის შედეგების შესაბამისად აღიარებულია 189 ლარის ზარალი მეკავშირე საწარმოდან.

მოძრაობა წლის განმავლობაში შესაძლოა წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022
საწყისი ნაშთი	4,618	-
კაპიტალში განხორციელებული არაფულადი კონტრიბუცია	-	4,849
ზარალი მეკავშირე საწარმოდან	(189)	(231)
საბოლოო ნაშთი	4,429	4,618

მეკავშირე საწარმოს მოგება-ზარალისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	1,533	1,737
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2,026)	(2,234)
საერთო ზარალი	(493)	(497)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(46)	(163)
ზარალი დაბეგვრამდე	(539)	(660)
მოგების გადასახადი	-	-
წლის სრული ზარალი	(539)	(660)

12. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები მოიცავს მიმდინარე პროექტებზე არსებულ სამშენებლო მასალებს.

შპს „რენოვით“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	14,454	819
სხვა მოთხოვნები	244	1,119
სულ ფინანსური მოთხოვნები	14,698	1,938
გაუფასურების ანარიცხი	(3,885)	(479)
ფინანსური მოთხოვნები, ნეტო	10,813	1,459
გადახდილი ავანსები	1,245	674
გაუფასურების ანარიცხი	(1,168)	(222)
სულ არაფინანსური მოთხოვნები, ნეტო	77	452
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	10,890	1,911

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად.

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკში განთავსებულ ფულად სახსრებს ეროვნულ ვალუტაში.

15. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. კომპანია დაფუძნდა ნულოვანი საწესდებო კაპიტალით.

2023 წელს გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი შეადგენდა 42 ლარს.

16. ანარიცხი პირობითი ვალდებულებებისთვის

კომპანიას სამშენებლო პროექტებთან დაკავშირებით აღებული აქვს შემდეგი სახის გარანტიები: პროექტის შესრულების გარანტია და პროექტის ხარისხის უზრუნველყოფის გარანტია. მენეჯმენტი თითოეული პროექტის ფარგლებში წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით აფასებს ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიის ფარგლებში მომავალში გასაწევ ხარჯებს და ქმნის შესაბამის ანარიცხს. აღნიშნული პირობითი ვალდებულებების ანარიცხი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენდა 194 და 124 ლარს.

17. ვალდებულებები ლიზინგიდან

კომპანიას სარგებლობაში აქვს სამშენებლო ტექნიკა და დანადგარები, რომლებიც მიღებულია სს თიბისი ლიზინგთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში. ლიზინგის ვალდებულება წარმოდგენილია ლარში და საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 16%-ს. ხელშეკრულება მოქმედებს 2026 წლის სექტემბრამდე, თუმცა, ლიზინგის საფასურის დაფარვა ხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკების მიხედვით.

	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
ლიზინგებიდან ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი	533	1,711
ლიზინგებიდან ვალდებულებების მოკლევადიანი ნაწილი	262	336

შპს „რენოვით“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

სულ	795	2,047
-----	-----	-------

17. ვალდებულებები ლიზინგიდან (გაგრძელება)

ვალდებულებები ლიზინგიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023
საწყისი ნაშთი	2,047
ფინანსური ხარჯი	99
სხვ ხარჯი	15
ლიზინგის ვალდებულებების დაფარვა	(336)
ლიზინგის საგნის დაბრუნება	(1,030)
საბოლოო ნაშთი	795
გრძელვანიანი ნაწილი	533
მოკლევადიანი ნაწილი	262

საანგარიშგებო პერიოდში, საოპერაციო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მენეჯმენტის გადაწყვეტილებით შეწყდა გარკვეული ტიპის სამშენებლო ტექნიკის გამოყენება და შესაბამისად შეწყდა რამოდენიმე ლიზინგის ხელშეკრულება. შეწყვეტის შედეგად მიღებული შედეგი 390 ლარი აღიარებულია მოგება ზარალის ანგარიშგებაში, სხვა შემოსავლის მუხლში.

18. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	4,532	1,390
ლიზინგის ვალდებულების მოკლევადიანი ნაწილი	262	336
სხვა ვალდებულებები	472	282
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,266	2,008
მიღებული ავანსები	842	1,101
სულ არაფინანსური ვალდებულებები	842	1,101
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,108	3,109

20. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები.

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი

შპს „რენოვეით“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიამ ბოლო საგადასახადო შემოწმება გაიარა 2024 წელს, რომლის ფარგლებშიც არ მომხდარა მნიშვნელოვანი ოდენობის საურავებისა და ჯარიმების დაკისრება.

20. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

სასამართლო დავები.

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული მიმდინარე სასამართლო დავების შედეგად.

21. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

კავშირის სახე		31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	9,861	14
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	მეკავშირე საწარმო	-	283
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	842	1,012
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მეკავშირე საწარმო	348	1,012

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

კავშირის სახე		2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	19,927	8,835
შემოსავალი რეალიზაციიდან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	311	142
შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	296	-

22. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი შეადგენს 135 ლარს.